

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

07. 07. 2016 წელი

77/2

----- ქ. თბილისი № -----

**2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში შიდა მობილობის პროცესის
ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 ივლისის № 05/91 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-20 მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 56-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 57-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. საგანმანათლებლო ერთეულის/ფაკულტეტის მიერ შიდა მობილობის წესით საგანმანათლებლო პროგრამების ვაკანტური ადგილების რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 15 აგვისტოდან 20 აგვისტოს ჩათვლით.
2. შიდა მობილობის წესით საგანმანათლებლო ერთეულის/ფაკულტეტის/პროგრამის შეცვლის მსურველთა შესაბამის საგანმანათლებლო ერთეულზე/ფაკულტეტზე/პროგრამაზე რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 22 აგვისტოდან 30 აგვისტოს ჩათვლით.
3. შიდა მობილობის შედეგების გამოქვეყნება შესაბამის საგანმანათლებლო ერთეულზე/ფაკულტეტზე/პროგრამაზე - 31 აგვისტო.

4. საგანმანათლებლო ერთეულის/ფაკულტეტის მიერ სტუდენტებისათვის კრედიტების აღიარება - 01 – 03 სექტემბერი.
5. საგანმანათლებლო ერთეულის/ფაკულტეტის/პროგრამის შეცვლის მსურველთა მიერ შეთანხმების (ძირითად ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე) გაფორმება - 05 - 07 სექტემბერი.
6. საგანმანათლებლო ერთეულის/ფაკულტეტის მიერ სტატისტიკისა და ანალიზის განყოფილებისთვის შიდა მობილობის წესით გადასული სტუდენტების სიის წარდგენა - 09 სექტემბერი.
7. შიდა მობილობის წესით სტუდენტების გადასვლის შესახებ რექტორის ბრძანების გამოცემის ვადა განისაზღვროს - 12 სექტემბერი.
8. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახურებს.
9. ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსების და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემის უზრუნველყოფა დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
10. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.
ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., № 6.

საფუძველი: უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს
გადაწყვეტილება, ოქმი № 8
07.07.2016 წელი

რ ე კ ტ ო რ ი

გიორგი მარგველაშვილი